

დავით იობიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

d.yo777bi@gmail.com

საკვანძო სიტყვები: გელათური თარგმანი (K14), ჯვმირი, მოდი, წინა-დაცუჭთა, მეტყუფითილობა, მღევანება.

გელათელი ანონიმი მწიგნობრის ტერმინთშემოქმედებითი ძიებანი ერთი გელათური ხელნაწერის (K14) მიხედვით

ქართული საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში გელათის სალიტერატურო-მწიგნობრულ სკოლას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი გამოირჩევა თავისი ულტრა-ელინოფილური მთარგმნელობითი მიმართულებით, რაც გულისხმობს ისეთი ქართული თარგმანის შექმნას, რომელიც მორფემულ-ლექსიკურ-სინტაქსურ სიბრტყეზე ზედმიწევნით ასახავს ორიგინალ ტექსტს.

ფორმალური ეკვივალენტის მთარგმნელობითი პრინციპებით არის შესრულებული წმინდა მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა შემცველი ერთი გელათური ხელნაწერი კოდექსი (K14). ხელნაწერი დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. მასში განთავსებული 24 თხზულებიდან ერთ-ერთი არის „წმინდა მაქსიმეს პასუხები თალასეს შეკითხვებზე“, შემდგომში – „თალასესადმი კითხვა-მიგება“ („Quaestiones ad Thalassioum“).

თხზულებაში კითხვა-მიგებები დაკავშირებულია წმინდა წერილის რთულად გასაგები ადგილების განმარტებასთან. შესაბამისად, ორიგინალ ძველბერძნულ ტექსტში ჭარბადაა ასახული ციტატები როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის წიგნებიდან. მაქსიმე აღმსარებელი წმინდა წერილის ამა თუ იმ ფრაგმენტის კომენტირებისას ჭარბად იყენებს საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას. ორიგინალ ტექსტში ასახული ტერმინოლოგია, ბუნებრივია, აისახა ქართულ თარგმანშიც.

XII საუკუნეში, როდესაც გელათური ხელნაწერი შეიქმნა, ქართულ ენაზე არსებობდა წმინდა წერილის არაერთი რედაქცია: წინათონური, ათონური და ელინოფილური. ბუნებრივია, დასახელებული

რედაქციების ტექსტები გელათელი ანონიმი მთარგმნელისათვის ცნობილი იქნებოდა, მაგრამ იგი მაქსიმე აღმსარებლის ტექსტში არსებული წმინდა წერილის ფრაგმენტების თარგმნისას არ იყენებს მათ და ქმნის ტექსტის ახალ, მისეულ ვერსიას. გელათელი მწიგნობარი ხშირ შემთხვევაში უარს ამბობს წმინდა წერილის ქართულენოვან რედაქციებში დამკვიდრებულ ტერმინებზე და გვთავაზობს ახალ ტერმინებს. მაშინაც კი, როდესაც გელათელი მთარგმნელი ბერძნულ ტერმინს ვერ უძებნის ადეკვატურ ქართულ შესატყვისს, მაინც უარს ამბობს ქართულ რედაქციებში უკვე დამკვიდრებულ ტერმინზე და უთარგმნელად გადმოაქვს ბერძნული ლექსიკური ერთეული. ზოგჯერ გელათელი მთარგმნელი ქმნის ქართული მთარგმნელობითი ტრადიციისთვის სრულიად ახალ ტერმინს.

სტატიკაში წმინდა წერილის ქართულ რედაქციათა ტექსტების ურთიერთშეჯერებისა და ორიგინალი ბერძნულენოვანი ტექსტის საფუძველზე ნაჩვენებია გელათელი მთარგმნელ-მწიგნობრის ტერმინთშემოქმედებითი მოღვაწეობა. განხილულია ბერძნული ტერმინების, – *μόδιος ὁ, περιτομή ἡ, λήχνος ὁ (λήχνη ἡ), διάθεσις ἡ*, – ქართული შესატყვისები.

• *μόδιος ὁ* (პროდუქტის საზომი ჭურჭელი (=1/6 მედიმნა)) (Дворецкий 1958: 1105)

οὐδὲ καίουσιν λήχον καὶ πῖμασιν αὐτὸν ὑπὸ τὴν *μόδιον* ἀλλ' ἐπὶ τὴν λήχνην, καὶ λάμπει πᾶσιν τοῖς ἐν τῇ οἰκίᾳ (მტ. 5, 15) (Aland... 1993: 679). ბერძნულ იკითხვის განსხვავებული ვარიანტი არ უდასტურდება. ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში დამკვიდრებული შესატყვისია *კვძირი*. ქართული ოთხთავის ყველა ვერსიაში იგი სწორედ ამგვარადაა გადმოღებული

არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე კვძირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი არიედ¹ სახლსა შინა (მთ. 5, 15) (CDEFGHIK).

მსგავსი მსჯელობა არის მარკოზისა (4, 21) და ლუკას (11, 33)² სახარებებშიც, სადაც *μόδιος* ყველა ქართულ რედაქციაში (CDEFGHIK) თარგმნილია, როგორც *კვძირი*.

¹ არიან G. იყვნიან HIK.

² ლუკას სახარების მითითებულ ადგილას *კვძირი* და მისი შესატყვისი *μόδιος* FG-ში და ზოგიერთ ბერძნულ ვერსიაში არ დასტურდება.

მაქსიმე აღმსარებელს დასახელებული თხზულების 63-ე „კითხვა-მიგებაში“ მათეს სახარებიდან მცირე ვარიანტული იკითხვისით დამოწმებული აქვს აღნიშნული მუხლი:

οὐδεὶς ἄπει¹ λύχνον καὶ πιθέασιν αὐτὸν ὑπὸ τὸν μόδιον ἂλλ' ἐπὶ τὴν λυχνίαν, καὶ λάμπει πᾶσιν τοῖς ἐν τῇ οἰκίᾳ (მტ. 5, 15). (Laga... 1990: 149, 57).

რადგან ბერძნულ კრიტიკულ ტექსტსა და მაქსიმესეულ ვერსიას შორის ვარიანტულობა არ არის, მოსალოდნელი იყო, რომ გელათელი მთარგმნელი *μόδιος*-ს გადმოიტანდა მისი ტრადიციული შესატყვისით ან ბერძნული ლექსიკური ერთეულის შესატყვისად შემოგვთავაზებდა ახალ ტერმინს. გელათელი მწიგნობარი ირჩევს სხვა გზას. იგი, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ *μόδιος*-ს ვერ უძებნის ადეკვატურ ქართულ შესატყვისს, მაინც უარს ამბობს ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში უკვე დამკვიდრებულ შესატყვისზე *ხვშირი* და უთარგმნელად გადმოაქვს ბერძნული ტერმინი *μόδιος* – *მოდო*. აი, შესაბამისი ხელნაწერისეული თარგმანი:

არავინ აღანთებს სანთელსა და დასდგამს მას ქუშზე მოდისა, არამედ საბაზმაკესა ზედა, და ჰნათობს ყოველთა სახლისშინათა (K14: 130r).

მაქსიმე აღმსარებელი ერთგვის კიდევ იმოწმებს აღნიშნულ ციტატას:

οὐδεὶς ἄπει λύχνον καὶ πιθέασιν αὐτὸν ὑπὸ τὸν μόδιον ἂλλ' ἐπὶ τὴν λυχνίαν, καὶ λάμπει πᾶσιν τοῖς ἐν τῇ οἰκίᾳ (Laga... 1990: 167, 337-339). ეს ციტატა ხელნაწერში ამჯერად სხვა ვერსიით არის თარგმნილი, თუმცა ჩვენთვის საინტერესო ერთეულის *τὸν μόδιον* შესატყვისი ისევ *მოდია*: *არავინ აღანთებს ბაზმაკსა და დასდებს მას ქუშზე მოდისა, არამედ საბაზმაკესა ზედა, და უბრწყინავს ყოველთა სახლისშინათა* (K14: 135r).

მაქსიმე აღმსარებელი სხვაგან არაერთგვისი ხმარობს *μόδιος* ერთეულს: Laga... 1990: 149, 80, 84; 149, სჟ; 151, 87; 153, 128; 167, 341; 167, სჟ. ხელნაწერში ყველგან თარგმნილია, როგორც *მოდო*: K14: 130r, 130v, 131v, 135r.

რატომ ამბობს გელათელი მთარგმნელი უარს ბერძნული *μόδιος*-ის ტრადიციულ შესატყვისზე, როდესაც თავად არ აქვს მისი ადეკვატური შესატყვისი? საფიქრებელია, რომ მთარგმნელისთვის *კვშირის* ცნება არ არის *μόდიოს*-ის ცნების ზუსტი შესატყვისი, მაგრამ არც თავისი ვერსია აქვს და, შესაბამისად, ტრანსლიტერაციით გადმოაქვს იგი.

¹ კრიტიკულ ტექსტში: οὐδὲ καίουσιν.

მათეს სახარების ფრაგმენტის თარგმნისას გელათელი მწიგნობრის ტერმინთიებითი პროცესი ჩანს ასევე *λῆχιν* – *λῆχιν* წყვილის თარგმნისას. პირველ შემთხვევაში დასახელებული წყვილი გადმოაქვს, როგორც *სანთელი* – *საბაზმაკე*, ხოლო მეორე შემთხვევაში – *ბაზმაკი* – *საბაზმაკე*. როგორც ჩანს, მთარგმნელი მერყეობდა *λῆχιν*-ის ქართული შესატყვისის მიმართაც, ერთ შემთხვევაში *სანთელს* არჩევს, მეორეში – *ბაზმაკს*. *Λῆχιν*-ს (*λῆχιν*) კი ყოველთვის *საბაზმაკედ* თარგმნის.

შესაბამისი მონაკვეთის ქართულ ტრადიციულ ვერსიებში (CDEFGHIK) ბერძნული წყვილის *λῆχιν* – *λῆχιν* შესატყვისია *სანთელი* – *სასანთლე* (მრ. 4, 21; ლკ. 8, 16; 11, 33). როგორც გამოჩნდა, გელათელი მთარგმნელი ამ შემთხვევაშიც არ ითვალისწინებს ტრადიციულ ქართულ შესატყვისებს და *μῆδις*, *λῆχιν* ტერმინების თავისეულ ვერსიებს გვთავაზობს.

• *περιτομή ἢ* (περιτέμνω) / *περίτμημα τό* (ჩამოჭრა, მოკვეთა / ჩამონაჭერი, მონაკვეთი (Дворецкий 1958: 1305)

წმინდა წერილის ტექსტებში აღნიშნული ლექსიკური ერთეული ითარგმნება, როგორც *წინადაცუება*, რომელიც იხმარება ებრაულ რიტუალთან დაკავშირებით. წმინდა წერილში წინადაცუეთის დაწესება ასე არის გაცხადებული:

...*περιτμηθήσεται* ὑμῶν πᾶν ἀρσενικόν. καὶ *περιτμηθήσεται* τὴν σάρκα τῆς ἀκροῖσσιός ὑμῶν καὶ ἔσται ἐν σημεῖδι διαθήκης ἀνὰ μέσον ἐμοῦ καὶ ὑμῶν. καὶ παιδίον ὀκτῶ ἡμερῶν *περιτμηθήσεται* ὑμῖν πᾶν ἀρσενικόν εἰς τὰς γενεὰς ὑμῶν ὁ οἰκογενὴς τῆς οἰκίας σου καὶ ὁ ἀργυρώητος ἀπὸ παντὸς υἱοῦ ἄλλοτρίου ὃς οὐκ ἔστιν ἐκ τοῦ σπέρματός σου. *περιτομή* *περιτμηθήσεται* ὁ οἰκογενὴς τῆς οἰκίας σου καὶ ὁ ἀργυρώητος καὶ ἔσται ἡ διαθήκη μου ἐπὶ τῆς σαρκὸς ὑμῶν εἰς διαθήκην αἰώνιον. καὶ ἀπερίτμητος ἄρσεν ὃς οὐ *περιτμηθήσεται* τὴν σάρκα τῆς ἀκροῖσσιός αὐτοῦ τῇ ἡμέρᾳ τῇ ὀγδόῃ ἐξολεθρευθήσεται ἡ ψυχὴ ἐκείνη ἐκ τοῦ γένους αὐτῆς ὅτι τὴν διαθήκην μου διεσκέδασεν (Γην. 17, 10-14).

დამოწმებულ მონაკვეთში *περιτέμνω* სხვადასხვა ფორმობრივი ვარიანტით ხუთჯერ არის გამოყენებული. ქართული თარგმანის ყველა ვერსიაში (CBOAS) მისი შესატყვისია *წინადაცუება*. აღნიშნული ბერძნული ტერმინი წმინდა წერილის ძველი აღთქმის წიგნებში შემდგომშიც არაერთგზის იხმარება და იგი ქართულ ვერსიებში ყოველთვის გადმოტანილია, როგორც *წინადაცუება*. მაგალითად, გამოსვლათა წიგნის 4, 25-26-ში:

καὶ λαβὼνσα Σεπφωρα ψῆφον *περιέτεμεν* τὴν ἀκροβυστίαν τοῦ σῖος αὐτῆς καὶ προ-σέπεσεν πρὸς τοὺς πῶδας καὶ εἶπεν ἔστω τὸ αἶμα τῆς *περιτομῆς* τοῦ παιδίου μου. καὶ ἀπῆλθεν ἀπ’ αὐτοῦ διότι εἶπεν ἔστω τὸ αἶμα τῆς *περιτομῆς* τοῦ παιδίου μου. ხაზგასმული ერთეულები ყველა ქართულ რედაქციაში თარგმნილია, როგორც *წინადაცუთაჲ* (წინადაცუ-ეთილებაჲ) (OBAKCS).

ბერძნულ *περιτέμνω*-ს იყენებენ ახალი აღთქმის წიგნთა ავტორებიც, თუმცა ამ ტერმინს აქ აღარ აქვს ის პირველადი მნიშვნელობა, რომელიც ძველი აღთქმის წიგნებში ჰქონდა. *Περιτέμνω* ახალი აღთქმის წიგნებში გაგებულია არა როგორც სხეულის ნაწილის მოკვეთა, ანუ წინადაცვეთის რიტუალთან დაკავშირებული ტერმინი, არამედ გადააზრებულია, როგორც გონებრივი წინადაცვეთა. ე. ი. ბერძნულ *περιτέμνω*-სთან მიმართებით მოხდა აღსანიშნის სემანტიკური გადაწევა, ხოლო თავად ტერმინი, ანუ აღმნიშვნელი, იგივე დარჩა.

მაქსიმე აღმსარებლის თხზულების მე-17 „კითხვა-მიგებაში“ მოცემულია გამოსვლათა წიგნიდან პარაფრაზირებული მონაკვეთი:

Εἰ θεὸς τὸν Μωυσῆν ἀπέστειλεν εἰς Αἴγυπτον, τίνι τῷ λόγῳ τὸν ὑπὸ τοῦ θεοῦ ἀπεσταλμένον ὁ τοῦ θεοῦ ἄγγελος ἀποκτεῖναι ἐζήτει, καὶ ἂν ἀπέκτεινεν, εἰ μὴ σπένσασα ἡ γυνὴ τὸ παιδίον *περιέτεμεν* καὶ δι’ ἑαυτῆς τὴν τοῦ ἀγγέλου ὀρμὴν ἔσπησε. Καὶ εἰ ἀναγκαία ἦν ἡ *περιτομή* τοῦ παιδίου... (Laga... 1980: 111, 2-6).

დამოწმებულ მონაკვეთში ორგზის იხმარება ჩვენთვის საინტერესო ტერმინი. ორივე შემთხვევაში გელათელი მთარგმნელი ხმარობს ტრადიციულ შესატყვისს:

უკუეთუ ღმერთმან წარავლინა მოსე ეგჳპტედ, რომლითა სიტყვითა ღმრთისა მიერ წარვლენილსა ანგელოზი ღმრთისაჲ ეძიებდა მოკლვად, და მო-მცა-ეკლა, არათუმცა შემსწრაფებელსა დედაკაცსა წინდაეცვთა ყრმისადა, და თავისა მიერ თჳსისა დაეყენა მიმართებაჲ ანგელოზისაჲ. და უკუეთუ საჭირო იყო წინადაცუთაჲ ყრმისაჲ... (K14: 22v). ეს არის ის შემთხვევა, როდესაც გელათელი მწიგნობარი *περιτομή*-ს (*περιτέμνω*) თარგმნისას იყენებს ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში დამკვიდრებულ ტერმინს *წინადაცუთაჲ*. სხვა შემთხვევებში გელათელი მთარგმნელი უარს ამბობს ტრადიციულ შესატყვისზე და გვთავაზობს *περιτομή*-ის (*περιτέμνω*) თარგმანის მისეულ ვერსიას. რამდენიმე ნიმუში მაქსიმე აღმსარებლის თხზულებიდან მისი ქართული თარგმანითურთ:

- (1) διὰ τί πρὸ τοῦ αὐτὸν τὸν θεὸν ἀποστεῖλαι μετὰ ἡμερότητος οὐκ ἐνετείλατο αὐτῷ *περιτεμεῖν* τὸ παιδίον (Laga... 1980: 111, 7-8).
რადსათვის პირველ ღმრთისაგან წარვლენისა მისისა, არა ამცნო მას სიმშვიდით *მეტკუჭთილ-ყოფად* ყრმისა (K14: 22v).
- (2) ἐμπροσθεν ἀσχοληθέντος καὶ τὸν καθαρὸν καὶ διόλου *περιτετμημένον* τρόπον (Laga... 1980: 113, 40-41).
ვნებულად მოცალე-ქმნითა გონებისაჲთა და წმიდა და ყოვ-ლითურთ *მეტკუჭთილსა* გუარსა (K14: 23r).
- (3) τὴν ἐγγενομένην ὑλικὴν τῷ λογισμῷ παιδὶ φαντασίαν *περιτέμνουσα* (Laga... 1980: 113, 48-49).
შექმნილსა მას ნივთიერსა ოცნებასა გულისსიტყვსა ყრმისასა *მეტკუჭთილ-ყოფელი* (K14: 23r).
- (4) φησὶ γὰρ ἔστι τὸ αἶμα *πῆς περιτομῆς* τοῦ παιδίου (Laga... 1980: 113, 50-51).
რამეთუ თქუმულ არს, დადგა სისხლი ყრმისა *მეტკუჭთილო-ბისა* (K14: 23r).
- (5) ἐπεὶ ἄρα προστάξας αὐτῷ πρότερον *περιτεμεῖν* ἀπέστειλεν (Laga... 1980: 115, 68-69).
თუ არა *მეტკუჭთილობისამცა* პირველად მზრდამნებელსა წარევ-ლინა იგი (K14: 23v).
- (6) οὐ γὰρ ἐγίνωσκεν ὅτι *περιτομῆς* καὶ ἀκροβυστίας οὐκ ἔστι διαστολὴ κατὰ τὴν πίστιν (Laga... 1980: 191, 9-10).
რამეთუ არმეცნიერ იყო, ვითარმედ *მეტკუჭთილობისა* და და-უცუჭთელობისა არა არს განყოფილება სარწმუნოებისაებრ (K14: 37r).

სხვაგან: *περιτέμνω*; *πῆς περιτομῆς* / *მეტ-კუჭთილობა* (Laga... 1980 / K14: 201, 9, 11 სჯ. / 37r სქ.; 281, 36 / 53v; 343, 229, 230 / 66v; 255, 20 / 49r; 271, 78 / 52r; 337, 117, 118, 119 / 64v; 347, 50, 51 სჯ. / 64v სქ.)

• მღევანება

ილია აბულაძის მიერ შედგენილ „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ *მღევანება* განმარტებულია, როგორც *მწუხარება*. მეცნიერი შე-საბამის მასალას იმოწმებს მამათა ცხოვრების ტექსტიდან. მკვლევარი *მღევანი* მიმღეობური ფორმის ორ მნიშვნელობას გამოყოფს: 1. *მწუხარე*; 2. *მსგავსი*. აქვე იმოწმებს შესაბამის მასალა (აბულაძე 1973: 258). სულხან-საბა *მღევანებას* განმარტავს, როგორც *გულსავსებას* (ორ-ბელიანი 2013: 230).

წმინდა მაქსიმე აღმსარებლის თხზულების „თალასესადმის კითხვა-მიგება“ გელათურ თარგმანში (K14) მღევანება ხუთჯერ გამოიყენება:

- (1) ანუ ურთიერთას მიმართისა მარჯულობისა, ანუ ისრაჲლისა მიმართ ვითარისავე *მღევანებისა* (K14: 35r).

ἢ τῆς ἐν ἀλλήλοις ἐπιτηδεύσεως ἢ τῆς πρὸς τὸν Ἰσραὴλ ποιῶς ἀντιπαθείας (Laga... 1980: 179, 136-137).

- (2) ეგრეთ მეფეცა ტვროსისაჲ ეშმაკისა მიმართ მოიგონებვის, ოდეს ისრაჲლსა ჰბრძოდის სისარაჲს მიერ, და კუალად შჯულისა მიმართ ბუნებისაჲსა, ოდეს *ემღევანებოდის* დავითსა (K14: 35r).

ὁμοίως καὶ ὁ βασιλεὺς Τύρου νοεῖται εἰς τὸν διάβολον, ὅταν τὸν Ἰσραὴλ διὰ τοῦ Σισάρα πολεμῇ, καὶ πάλιν εἰς τὸν φυσικὸν νόμον, ὅταν *σπένδεται* τῷ Δαυὶδ (Laga... 1980: 181, 145-148).

- (3) წინამდებარისა მიმართ წინ-განსაგებელთა *მღევანებისა* ვჰპოვებთ საღმრთოსა წერილსა გარდამწმანელად ღმრთისა (K14: 40r).
πρὸς τὴν ὑποκειμένην τῶν προνοουμένων *διάθεσιν* εὐρίσκομεν τὴν ἀγίαν γραφὴν τὸν θεὸν διαπλάττουσαν (Laga... 1980: 203, 4-6).

- (4) *ესრეთ თითოეულსა ადგილსა მრავალგუარად* გარდამწმანელობასა ღმრთისსა წერილისაგან, ზედმიწევნულობით განმჭურეტელი სიტყუათაჲ, ჰპოვებ მიზეზ-ყოფად მრავლისა საღმრთოთა წმასნათა შეცვალებისად *მღევანობასა* წინგანსაგებელთასა (K14: 40r).

οὕτως, ἐφ' ἐκάστῳ τόπῳ τῆς τὸν θεὸν πολυτρόπως διαπλάττουσης γραφῆς τοὺς λόγους μετ' ἐπιστήμης διασκοποῦμενος, εὐρήσεις αἰτίαν εἶναι τῆς πολλῆς τῶν θείων πλασμάτων ἐξάλλαγις τὴν τῶν προνοουμένων *διάθεσιν* (Laga... 1980: 203, 22-25).

- (5) სამართლად ბოროტისა ერთგმობისა შეცთომილთა კაცთაჲსა აღსაარებასა დამკსნელი ღმერთი, *მღევანებისაგან* წინგანსაგებელთაჲსა ... სამრავლოდ სახელ-სდებს თავსა თვსსა (K14: 40v).
εἰκότως ὁ τῆς κακῆς συμφωνίας τῶν πλανηθέντων ἀνθρώπων διασκεδάζων τὴν ὁμολογίαν θεὸς ἐκ τῆς τῶν προνοουμένων *διαθέσεως* ... πληθυντικῶς ἑαυτὸν ὀνομάζει (Laga... 1980: 203-205, 32-37).

როგორც დამოწმებული ნიმუშებიდან გამოჩნდა, *მღევანება* ორიგინალ ძველბერძნულ ტექსტში შეესატყვისება სამ სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულს:

1. ἀντιπάρθεια ἡ – საპირისპირო შერძნება; წინააღმდეგობრივი მდგომარეობა (Дворецкий 1958: 3168);
2. σπένδα – ზავის დადება; შერიგება (იქვე: 1493) (ერთ-ერთი მნიშვნელობა, რომელიც დამოწმებული ტექსტის კონტექსტს ეთანადება);
3. διάθεις, εως ἡ – სულიერი განწყობა, მდგომარეობა (იქვე: 368).

დასახელებული ბერძნული ერთეულებიდან ყურადღებას გავამახვილებთ ტერმინზე *διάθεις*.

ქართულ ფილოსოფიურ ტექსტებში *διάθεις*-ის შესატყვისია *მოწლეობა*. მაგალითად, ასე თარგმნიდნენ ამ ტერმინს არსენ იყალთოელი და იოანე ტარიჭისძე. *διάθεις* ასევეა თარგმნილი წმინდა მაქსიმე აღმსარებლის „პიროსთან სიტყვისგების“ გელათურ თარგმანში (მელიქიშვილი 2010).

Διάθεις-ი ერთ-ერთი ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური ტერმინია. არისტოტელესთან იგი ნიშნავს *ადამიანის განწყობილებას, მდგომარეობას*. პლატონი იყენებს *სულიერი განწყობის* მნიშვნელობით (Дворецкий 1958). ღირსი მაქსიმე აღმსარებელიც, როგორც ერთ-ერთი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, ტერმინით *διάθεις* გადმოსცემს ადამიანის სულიერ, შინაგან მდგომარეობასა და რაგვარობას. „თალასესადმი კითხვა-მიგების“ ქართულ თარგმანში *διάθεις* თარგმნილია, როგორც *მოწლეობა*. ორიოდ ნიმუში: კეთილსაცნაურ და ყოვლად ცხად არს საუკუნოდსა ამის მიმართ *მოწლეობისებრი* ყოვლითურთი უგრძნობელობად და განკიდებად სულისად (K14: 1r); εὐγυνάστον τε καὶ πᾶσι κατὰδῆλον ἢ κατὰ *διάθεις* πρὸς τὸν αἰῶνα τοῦτον παντελῆς ἀναισθησία τῆς ψυχῆς καὶ διάστασις (Laga... 1980: 9, 18-20). რად არს თითოეულის შორისი *მოწლეობად* (K14: 4v); τίς τε ἡ ἐφ' ἐκάστῳ *διάθεις* (Laga... 1980: 23, 126).

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ *მოწლეობა* განმარტებულია, როგორც *მოწყალება* (აბულაძე 1973: 288). მეცნიერი წყაროებად იმოწმებს ოთხთავის ქართული რედაქციების ტექსტებს, მამათა ცხოვრების ქართულ თარგმანებს და ასევე „შუშანიკის წამების“ ტექსტს; მაგრამ საქმე ისაა, რომ დასახელებული ტექსტები არაფილოსოფიური ხასიათისაა და ამიტომ მათში ლექსემას *διάθεις* და, შესაბამისად, მის ქართულ შესატყვისს *მოწლეობა* არ აქვს ის ტერმინოლოგიური დატვირთვა, რაც შემდგომი პერიოდის ფილოსოფიურ თხზულებებში ჰქონდა.

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ილია აბულადის ლექსიკონში ლექსიკურ ერთეულს *მღევანება* სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა უდასტურდება. გელათელ მთარგმნელთან *მღევანებას* განსხვავებული სემანტიკა აქვს. ამასთან, მთარგმნელი ერთგვარ ტერმინთმიებაშია. ერთი მხრივ, ის *διάθεσις*-ს თარგმნის, როგორც *მოწლეობას*, ხოლო, მეორე მხრივ, მის შესატყვისად იყენებს ლექსიკურ ერთეულს *მღევანება*. თავის მხრივ, მთარგმნელი *მღევანებას* ხმარობს ბერძნული ერთეულების *ἀντιπαρεια* ἢ და *σπένδα* შესატყვისად. აქ გავხზავთ იმ გარემოებას, რომ *მღევანება* გელათელი მთარგმნელისთვის არ აღნიშნავს იმ ცნებას, რომელსაც ის გამოხატავს ილია აბულადის მიერ დამოწმებულ მასალაში. ჩვენ მიერ დამოწმებულ ნიმუშებში *მღევანება* აღნიშნავს: *წინააღმდეგობრივ განწყობას*, *სულიერ (შინაგან) მდგომარეობას*, *დაზავებას (შეთანხმებას)*. დასახელებული მნიშვნელობები არის ტერმინის *მღევანება* ახალი სემანტიკური ელფერი, რომელიც მას მიაკუთვნა გელათელმა მთარგმნელმა. განხილული ერთეულები ცხრილის სახით შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

ბერძნული (წმ. მაქსიმე აღმსარებელი)	ტრადიციული შესატყვისი	გელათელი მთარგმნელი (K14)
μόδιος ὁ	ჯვმირი	მოდი
λύχνος ὁ (λυχνία ἡ)	სანთელი	ბაზმაკი
περιτομή ἡ (περιτέμνω) / περίτμυμα τό	წინათაცუჭთაჲ	მეტკუჭთილობაჲ
διάθεσις ἡ	მოწლეობაჲ	მღევანებაჲ

ცხრილში ნაჩვენებ ერთეულებს შორის არ არის ცალსახა ურთიერთმიმართება. ხშირია შემთხვევა, როდესაც მთარგმნელი ერთი ბერძნული ტერმინის შესატყვისად სხვადასხვა ქართულ ვერსიას გვთავაზობს. მაგალითად, *διάθεσις*-ს ხშირად თარგმნის, როგორც *მოწლეობას*, *λύχνος*-ის შესატყვისად *სანთელსაც* გვთავაზობს, იშვიათად

περιτομή-ს თარგმნის, როგორც *წინადაცულთან*, ხოლო *μὲν*-ის შე-სატყვისად ყოველთვის ხმარობს ტერმინს *მოდი*. თვალსაჩინოა გელათელი მწიგნობრის ტერმინთბიებითი პროცესი.

განხილული ტერმინების გარდა, წმინდა მაქსიმე აღმსარებელს „თალასესადმი კითხვა-მიგებაში“ გამოყენებული აქვს სხვა მრავალი თეოლოგიურ-ფილოსოფიური ტერმინი, რომლებიც, ბუნებრივია, ასახულია გელათურ თარგმანშიც. სასურველია, მათი სისტემური შესწავლა განხორციელდეს დამოუკიდებელ მონოგრაფიულ კვლევაში, რაც მომავლის საქმედ გვესახება.

ლიტერატურა

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდის №14 ხელნაწერი.

აბულაძე 1949 – ილია აბულაძე, საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით, თბილისი.

ბიბლია 2017 – ძველი აღთქმა, თბილისი.

იმნაიშვილი 1979 – ივანე იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბილისი.

ლორთქიფანიძე 1956 – ქეთევან ლორთქიფანიძე, კათოლიკე ეპისკოპოსთა ქართული ვერსიები X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, თბილისი.

მელიქიშვილი... 2010 – დამანა მელიქიშვილი... ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი, I-II, თბილისი.

ორბელიანი 2013 – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ი-ჟ, თბილისი.

შანიძე 1945 – აკაკი შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბილისი.

Дворецкий 1958 – Иосиф Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, Т. I-II, Москва.

Aland... 1993 – Aland..., The Greek New Testament, Stuttgart.

Laga... 1980 – Laga..., Maximi Confessoris, Quaestiones ad Thalassium, Brepols.

Laga... 1990 – Laga..., Maximi Confessoris, Quaestiones ad Thalassium, Brepols.

Davit Iobidze

Akaki Tsereteli State University, Georgia

d.yo777bi@gmail.com

Keywords: Gelatian Manuscript (K14), *მოდო (modi)*, *მეტკუჭთილობა (met'k'uetiloba)*, *მლევანება (mlevaneba)*.

Terminological Searches of the Anonymous Gelatian Scribe According to One Gelatian Manuscript (K14)

Summary

In the history of the development of Georgian theological-philosophical thought, the literary and scribal school of Gelati occupies a special place. It is distinguished by its ultra-Hellenophile translation direction, which implies the creation of a Georgian translation that accurately reflects the original text on the morpheme-lexical-syntactic level. One Gelatian manuscript code (K14) containing the writings of St. Maximus the Confessor is created with the principles of formal equivalent translation. One of the 24 works contained in it is "Answers of St. Maximus to the Questions of Thalasse" („Quaestiones ad Thalassium“).

Georgian text according to lexical circumstance is very interesting. We find that kind of words, such as *მულროობა (Mughrooba)*, *ცმადირობა (Tsmadiroba)*, *სიცრთუე (Sitsrtue)*, *ანკანაკობა (Ankanaoba)*...

In many cases, the Gelatian scribe rejects the terms established in the Georgian translate and suggests new terms. In the article, we will discuss the following terms: *მოდო (modi)*, *მეტკუჭთილობა (met'k'uetiloba)*, *მლევანება (mlevaneba)*. Studying Other lexemes, which we richly find in handwriting K-14, is the subject of our next time research.